კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი | № 75 (12283) | ხუთშაბათი, 29 მარტი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, კოლმეურნეები, მუშები, მექანიზატორები, სპეციალისტები და სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი არ დაიშურებენ თავიანთ ძალღონეს, ენერგიასა და უნარს, რათა განახორციელონ პარტიის XXII ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1962 წლის 27 მარტის დადგენილება

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგებისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, მოისმინა და განიხილა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგებისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში“, მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილება „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში“ და იღებს მას განუხრელად სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასა და საბოლოო სიტყვაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებაში განსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის დიდ აღმავლობას, მოსახლეობისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მრეწველობისათვის ნედლეულის წარმოების მკვეთრად გადიდებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წელი) პლენუმის შემდეგ საქართველოს, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი.

გადიდდა ჩაის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ხილის, ყურძნის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა წარმატებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში და მკვეთრად გააკრიტიკა საქმის ვითარება სოფლის მეურნეობაში. ჯერ კიდევ საკმაო არ არის მარცვლის, ხორცის, რძისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების დონე, იგი არ შეესაბამება მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდეს შესაძლებლობებს და გაზრდილ მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც დასახა პარტიის XXII ყრილობამ ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში.

საკმაოდ როდი იყენებენ სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობებს საქართველოს რესპუბლიკაშიც. ამას ცხადყოფს ნოვატორთა და მოწინავე მეურნეობათა წარმატებები. რესპუბლიკას შეეძლო ეწარმოებინა მეტი ჩაი, ხილი, თამბაქო და სხვ., რომ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას აემაღლებინა მიწათმოქმედების კულტურა. რეზერვების არადამაკმაყოფილებელი გამოყენება უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის მართვაში არსებულ ნაკლოვანებათა შედეგია.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის შვიდწლედის პირველი სამი წლის გეგმები შესრულებულია გადაჭარბებით, საქართველოს სსრ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ამ პროდუქტების წარმოებაში, რისთვისაც რესპუბლიკა გააკრიტიკეს ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს სავსებით სწორად მიაჩნია.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას, დიდ შესაძლებლობათა გამოყენებას ბევრად უშლიდა ხელს მიწათმოქმედების უსაფუძვლო ნათესმოძაობანი სისტემა, რომელიც პარტიამ დაგმო. 1961 წელს ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახებით დაკავებული იყო 17 პროცენტზე მეტი სახნავი.

ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მიწის უყაირათო გამოყენება. 1961 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო ხმარებაში არ იყო 79 ათასი ჰექტარი სახნავი.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ ნაკლებ უყურადღებას აქცევენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკურ აღჭურვილობას, რის შედეგად დაბალია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების, განსაკუთრებით მრავალწლიანი კულტურების მოვლა-დამუშავებისა და მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონე.

მარტის პლენუმმა აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების რეორგანიზაციისათვის. მაგრამ ეს გარდაქმნები და ცვლილებები არ შეხებია მთავარ რგოლს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას. სოფლის მეურნეობას კვლავ ვერ მართავდნენ.

არ იყო ორგანო, რომელიც უხელმძღვანელებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, ყოველდღიურად გაუწევდა კონტროლს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, აქტიურად ჩაერეოდა და პირდაპირ გავლენას მოახდენდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინეს ეს და მიიღეს დადგენილება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ორგანოების გარდაქმნის შესახებ.

იმ მიზნით, რომ წარმატებით შესრულდეს ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 მარტის დადგენილებანი სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის შესახებ, გადაიკრას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი მძლავრი განვითარების გადაუდებელი ამოცანები, შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი, რომ:

ა) შეიქმნას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები;

ბ) შეიქმნას აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველო;

გ) გაუქმდეს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო და შეიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო;

დ) გაუქმდეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და შეიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან მეცნიერებისა და სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადების მთავარი სამმართველო;

ე) შეიქმნას საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის კომიტეტი;

ვ) შემოღებულ იქნას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგებისა და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის კომორგების თანამდებობანი.

2. დაევალოს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, რომ შეარჩიონ და სამმართველოები დააკომპლექტონ უნარიანი ორგანიზატორებით პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა რიცხვიდან.

3. პლენუმი ავალებს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს უმოკლეს ვადაში გადაჭრან ყველა ორგანიზაციული საკითხი, დააკომპლექტონ სამმართველოების აპარატი, შექმნან საბჭობები, გაერკვნენ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საქმის ვითარებაში, შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩამორჩენილ მეურნეობათა აღმავლობას. მიაღწიონ იმას, რომ თანაბარ პირობებში მყოფ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ერთნაირი მაღალი მაჩვენებლები ჰქონდეთ.

4. დაევალოს საქართველოს კომპარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო აღმასკომსა და რაიაღმასკომებს უმოკლეს ვადაში გადასინჯონ ფარეხობების სტრუქტურა იმ ვარაუდით, რომ გაადიდონ სიმინდის, სოიის, შაქრის ჭარხლის, ბარდის, საკვები სტაფილოს, საკვები პარკოსნებისა და სხვა უფრო მოსავლიანი კულტურების ნათესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მარცვლეულის წარმოების მოცულობის გადიდებასა და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.

5. რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციებისა და ყველა სასოფლო-სამეურნეო ორგანოს პირველი რიგის ამოცანად ჩაითვალოს ის, რომ უახლოეს წლებში შექმნან ბაზა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი მკვეთრი გადიდებისათვის, მიაღწიონ როგორც მინიმუმს, რომ თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა აწარმოებდეს 100 ჰექტარ სახნავზე 75 ცენტნერ ხორცს და დანარჩენ სავარგულებზე — 16 ცენტნერს.

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, საკვები ბაზის განმტკიცების კვალობაზე თვითეული მეურნეობის მიზნად დაისახოს 100 ჰექტარ სახნავზე 150 ცენტნერი ხორცის წარმოება.

6. პლენუმი ავალებს გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ და მის ადგილობრივ ორგანოებს გააუმჯობესონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური უზრუნველყოფა, განამტკიცონ სარემონტო ბაზა, აღჭურვონ სპეციალიზებული სახელოსნოები ტექნიკით ტრაქტორების, ავტომობილების, ძრავების, კვანძებისა და აგრეგატების რთული რემონტისათვის; უმოკლეს ვადაში გადასინჯონ რაიონული და სარაიონთაშორისო კატორების ქსელი და განლაგება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნილი ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების მიხედვით.

7. პლენუმი ერთხელ კიდევ მოადგენს რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს იმას, თუ რა დიდმნიშვნელოვანი და საჭიროა ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მიზანია კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სპეციალისტთა მატერიალური დაინტერესების — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტის — შემდგომი ამაღლება. პლენუმი ავალებს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით საზოგადოებრივი სახსრების ფლანგვაში, გაუმართლებელ ხარჯვაში.

8. სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოების გარდაქმნის ახალ პირობებში პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ პარტიულ-ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის როლი, უფრო კონკრეტულად და ოპერატიულად უხელმძღვანელონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, ამაღლონ თვითეული კომუნისტის როლი, რომელ უბანზეც უნდა მუშაობდეს იგი, ქმედითი დახმარება გაუწიონ საწარმოო სამმართველოებს, ცენტრალური კომიტეტის პარტორგებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

9. პლენუმი ყველა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოსგან მოითხოვს მაღალ დონეზე და შემჭიდროებულ ვადებში შეასრულონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მიაღწიონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვან გადიდებასა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმების უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

სოფლის მეურნეობის მართვის სისტემის რეორგანიზაციას რომ ახორციელებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაყრობს იმას, რომ საქმის წარმატება საბოლოო ანგარიშით წყდება კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, მთლიანად დამოკიდებულია თვითეული მშრომელის შრომითს აქტივობასა და საზოგადოებრივ შეგნებაზე. მეურნეობის უნარიან ხელმძღვანელობაზე. მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენების ეფექტიანობაზე, პარტიის ორგანიზატორული მუშაობის დონეზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, კოლმეურნეები, მუშები, მექანიზატორები, სპეციალისტები და სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი არ დაიშურებენ თავიანთ ძალღონეს, ენერგიასა და უნარს, რათა განახორციელონ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

მთელი ძალები—სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას!

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

27 მარტს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

□ □

ამხანაგებო! 9 მარტს მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პლენუმმა მოისმინა, განიხილა და ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის მოხსენება „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში“. პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა და ახალი პროგრამის განხორციელებისათვის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობაში.

მარტის პლენუმი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი XXII ყრილობის შემდეგ — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გმირულ ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში მოცემულია სოფლის მეურნეობაში საქმის ვითარების ობიექტური ანალიზი, დასახულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების პერსპექტივები და საშუალებები.

„პარტიისა და ხალხის მთელი ღონისძიებანი, — თქვა თავის მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ახლა ხმარდება მთავარი ეკონომიური ამოცანის პრაქტიკულ განხორციელებას — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. სწორედ ამიტომ განიხილავს ცენტრალური კომიტეტი ეს პლენუმი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხს, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც დასახულია პარტიის ახალი პროგრამით და XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით“.

ამხანაგებო! შვიდწლედის განვლილი სამი წლის მანძილზე სსრ კავშირში მიღწეულია სერიოზული წარმატებანი მრეწველობის განვითარებაში.

მაგალითად, სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპები აღემატება შვიდწლიანი გეგმის დავალებას. გასულ 1961 წელს სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპებმა 6,3 პროცენტით გადააჭარბა შვიდწლედის გაანგარიშებას და შეადგინა 133,3 პროცენტი ნაცვლად გათვალისწინებული 127 პროცენტისა.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება აგრეთვე ხორციელდება შვიდწლედის დავალებათა გადაჭარბებით.

სსრ კავშირმა უკვე გაუსწორა ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, არა მარტო უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ტემპების მხრივ, არამედ გამოშვების ყოველწლიური აბსოლუტური მატების მხრივაც.

საკმაოდ დიდი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც. შედარებით მოკლე ხნის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მოხნულია 42 მილიონი ჰექტარი უამრი და ნასვენი მიწები. რეორგანიზებულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. გაძლიერდა მატერიალურ-ტექნიკური დახმარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი, განხორციელდა ღონისძიებანი ორგანიზატორთა და სპეციალისტთა კადრებით მათი განმტკიცებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წელი) პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულის, ხორცის, კარაქის, შაქრის წარმოება. მაგრამ ამ პერიოდში გაიზარდა აგრეთვე მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოსახლეობის ზრდასთან და მშრომელთა მყიდველობითი უნარის გადიდებასთან დაკავშირებით.

მაგალითად, რვა წლის წინათ, 1953 წელს, ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობას მიეყიდა 23 ათასი ტონა ხორცი და ხორცის პროდუქტები, შარშან კი — 44 ათასი ტონა, რძის პროდუქტები შესაბამისად — 232 ათასი ტონა და 419 ათასი ტონა, კვერცხი — 19 მილიონი ცალი და 38 მილიონი ცალი, შაქარი — 36 ათასი ტონა და 74 ათასი ტონა.

წარმატებანი სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოწმობენ პარტიისა და ხალხის განუყოფელ ერთიანობას, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მიერ ყველა იმ ღონისძიების სრულ მხარდაჭერას, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს. არჩევნების დღე გადაიქცა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ახალ მკაფიო დემონსტრაციად.

მსოფლიოში ყველაზე მძლავრი, ყველაზე უძლეველი საარჩევნო ბლოკის — კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებმა ყველგან სრული მოწონება დაიმსახურეს. მათ ხმა მისცა არჩევნების მონაწილე ყველა ამომრჩეველთა 99 პროცენტზე მეტმა, ხოლო არჩევნებში მონაწილეობდა ხმის უფლების მქონეთა 99,5 პროცენტი.

სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა საბჭოთა კავშირის მთელმა მოზრდილმა მოსახლეობამ. ძნელია წარმოვიდგინოთ ხალხის ნების უფრო უდავო გამოხატულება, საარჩევნო პროგრამისათვის უფრო ფართო საყოველთაო მხარდაჭერა.

მიღწეული წარმატებანი, ბუნებრივია, გვახარებენ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის ზრდას, მშრომელთა შემოსავლის განუწყვეტლივ გადიდებას, საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებათა ზრდას, საჭიროა დავაჩქაროთ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპები, მკვეთრად გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ნიკიტა სერგეს-ძემ მთელი პირდაპირობით აღნიშნა, რომ მარცვლეულის, ხორცის, რძის წარმოება ჩამორჩება ვშიდწლიანი გეგმის ვარაუდებს, და დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ჩვენს ქვეყანას ყველა შესაძლებლობა აქვს, რათა აანაზღაუროს დანაკლისი, თუ განხორციელდება საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი.

საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საკმაოდ კარგი შედეგები მოიპოვეს ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაგვანი დარგების განვითარებაში.

1961 წელს რესპუბლიკის მეჩაიეებმა ჩვენს ქვეყანას მისცეს 154,6 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ესე იგი 47 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1957 წელს. გაიზარდა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. 1961 წელს 1953 წელთან შედარებით წარმოებული იყო მეტი: ხორცი — 28,8 ათასი ტონა, რძე — 109 ათასი ტონა, კვერცხი — 58 მილიონი ცალი. მაგრამ ხორცისა და რძის წარმოების შვიდწლედის დავალებათა შესრულების მხრივ ჩვენში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის.

„ჩაისათვის თქვენ საბჭოთა ადამიანები მადლობას გეუბნებიან, ამხანაგო ქართველებო, — თქვა პლენუმზე ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვმა, — ხოლო იმისათვის, რომ ხორცის წარმოების შვიდწლედის პირველი სამი წლის დავალება შესრულებულია 85 პროცენტით და რძისა 74 პროცენტით, ალბათ მადლობას არავინ გეტყვით წარმოების ასეთი დონისათვის“.

ამ კრიტიკიდან საქართველოს პარტიულმა, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ყველა მშრომელმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ და უკვე წელს სერიოზულად გამოასწორონ საქმის ვითარება სოფლის მეურნეობაში, მიაღწიონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების იმ დონეს, რომელიც გათვალისწინებულია შვიდწლედის დავალებით.

შეგვიძლია თუ არა თავი გავართვათ ამ ამოცანას? უთუოდ შეგვიძლია. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, პლენუმის გადაწყვეტილებებში დამაჯერებლად არის

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

1962 წლის 30 მარტს მოწვეულია გამომცემლობათა და კოლეგიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირი გაიხსნება დილის 10 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„ქალაქებსა და დაბებში მცხოვრებ მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირადი საკუთრების პირუტყვისა და ფუტკრის ოჯახის ზღვარული ოდენობის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 18 იანვრის ბრძანებულების შეფარდების წესის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაწესდეს, რომ მოქალაქეებს, რომლებიც დაარღვევენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 18 იანვრის ბრძანებულებით დადგენილ მოთხოვნას პირუტყვისა და ფუტკრის ოჯახის ნორმის შესახებ, ზედმეტი პირუტყვი და ფუტკრის ოჯახი ჩამოერთვათ მშრომელთა დეპუტატების სათანადო ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებს მიერ, სახელმწიფო შესყიდვის ფასების 50 პროცენტის ანაზღაურებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმოქმედი სიმფონიური ორკესტრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ათი წლის ნაყოფიერ საშემსრულებლო მოღვაწეობასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმოქმედი სიმფონიური ორკესტრი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზანიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1962 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. დ. ართველაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, მრეწველობასა და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი ამხ. ილია დავითის ძე **ართველაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზანიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1962 წლის 27 მარტი.

მტკიცდება მეგობრული ურთიერთობა

მოსკოვი, 28 მარტი. (საკუთარი). ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ ბენ იუსეფ ბენ ჰედამ საპასუხო წერილი გამოუგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

წერილში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის დე-იურე აღიარება, ისევე როგორც გულმხურვალე სურვილები, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა გაუგზავნა ალჟირელ ხალხს ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მისი გამარჯვების აღსანიშნავად, ალჟირის ხალხისათვის ფასდაუდებელი მხარდაჭერა და ორივე ქვეყნის ხალხთა შორის არსებული მტკიცე ურთიერთობის ახალი დადასტურებაა.

ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა კმაყოფილებით თანხმდება დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირთან. ჩვენ, ნათქვამია წერილში, დარწმუნებული ვართ, რომ ეს ურთიერთობა სერიოზულად შეუწყობს ხელს მეგობრული კავშირის განმტკიცებას, რომელიც ორივე ჩვენს ქვეყანას აერთიანებს, და საშუალებას მისცემს მათ განახორციელონ ნაყოფიერი თანამშრომლობა.

ბენ იუსეფ ბენ ჰედა ყოველივე სიკეთეს, წარმატებას, ბედნიერებასა და აყვავებას უსურვებს საბჭოთა კავშირის ხალხს.

მთელი ძალები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებაზე

(გაგრძელება)

ნაჩვენები, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის შესაძლებლობანი ნაკლები როდი გვაქვს, ვიდრე მრეწველობაში, და რომ ამ შესაძლებლობათა გამოყენება მთლიანად დამოკიდებულია ორგანიზებულობის დონეზე, ხელმძღვანელობის დონეზე.

საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაშია მიწის დიდი მასივები, საკმაო ტექნიკა, კვალიფიციურ სპეციალისტთა დიდი არმია, ათასობით შუქურა — თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის კომუნისტები, მეჩაიეები და ყველა მშრომელი დიდი მადლობით შეხვდნენ ჩაის წარმოების დარგში მათი შრომის მაღალ შეფასებას, რომელიც მოცემული იყო საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXII ყრილობისადმი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე.

ამ შეფასებით აღფრთოვანებულმა საქართველოს მშრომელებმა დიდი მუშაობა გაშალეს ჩაის პლანტაციების მოვლისა და დამუშავების გასაუმჯობესებლად.

წელს ჩვენ ვცდილობთ ჩაის ფოთოლი მოვკრიფოთ 160 ათასი ტონა, 1965 წელს — 200 ათასი ტონა, ხოლო 1980 წელს — 315 ათასი ტონა. მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ ჩაის კრეფა მანქანებით. რომ არაფერი ვთქვათ ახალი პლანტაციების გაშენებაზე, ამის მიღწევა შეგვიძლია არსებულ პლანტაციებში მოსავლის გადიდებით მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დონემდე, ახალი პლანტაციები ისე უნდა გავაშენოთ, რომ იქ ჩაის კრეფა შეიძლებოდეს მანქანით. თქვენ ყველამ კარგად იცით ფაქტები, როცა სავსებით ერთნაირ პირობებში მყოფი რაიონები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სხვადასხვა მოსავალს იღებენ. ცხოვრება, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სადაც აგროტექნიკური მოთხოვნები კახრნია და მათ მტკიცედ იცავენ, იქ წარმოების მაღალი დონე გვაქვს. მაშასადამე, მოწინავე გამოცდილების დანერგვას კახრნის ძალა უნდა მივცეთ.

თუ იმას მივაღწევთ, რომ ჩვენი მეჩაიეობის მეურნეობანი ყოველ ჰექტარ პლანტაციაზე მიიღებენ თუნდაც იმის მესამედ ფოთოლს, რასაც ლეილა მაღულარია იღებს მახარაძის რაიონში, ეს საშუალებას მოგვცემს ახალი პლანტაციების გაუშენებლადაც დავაკმაყოფილოთ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება საბჭოთა წარმოების ჩაით.

ცუდად როდი იმუშავეს გასულ წელს ჩვენმა მეხილეებმა: მიღებულია ხილისა და ციტრუსოვანთა კარგი მოსავალი.

შარშან დამზადდა 142 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, ანუ 47 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1960 წელს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა ვერ შეესრულეთ. უნდა გავითვალისწინოთ შარშანდელი ნაკლოვანებანი და განვახორციელოთ სეზონზული ღონისძიებანი ვენახის მოვლის ძირეული გაუმჯობესებისათვის, სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის, რაც ზოგიერთი რაიონის მეურნეობებში 15-20 და მეტ პროცენტს აღწევს, აგრეთვე ახალი ვენახების გაშენებისათვის მაღალხარისხოვანი ჯიშების ხარჯზე.

მევენახეებსა და მეღვინეებს, ისევე როგორც მეჩაიეებს, უდიდესი გამოუყენებელი რეზერვები აქვთ. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ღონისძიებანი იმას უნდა მოხმარდეს, რომ გამოავლინონ და აამოქმედონ რეზერვები თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, ჩვენმა საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა და სპეციალისტებმა უკანასკნელ 7-8 წელიწადში ცოტა როდი იშრომეს, რომ გაედიდებინათ ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის წარმოება.

თითო-ძროხის საშუალო წველადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 503 კილოგრამიდან გაიზარდა 1.118 კილოგრამამდე. ხორცის წარმოება დაკლული წონით ყველა კატეგორიის მეურნეობებში გაიზარდა 73 ათასი ტონიდან 95,8 ათას ტონამდე, რძისა — 334 ათასი ტონიდან 443 ათას ტონამდე, კვერცხისა — 180 მილიონი ცალიდან 238 მილიონ ცალამდე.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს დონე სრულიად არ კმარა, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კრიტიკა ჩვენს მიმართ სწორი იყო, რადგან რესპუბლიკას დიდი შესაძლებლობები აქვს მეცხოველეობის განვითარებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან მოითხოვა მკვეთრად გაადიდონ ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება. იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებანი მეცხოველეობის პროდუქტებზე, განსაზღვრულია ამ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლის ეტაპები.

პირველი ეტაპი — უახლოესი დროის ამოცანაა ვაწარმოოთ 75 ცენტნერი ხორცი 100 ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი 100 ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო აავარგულებზე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა ვაწარმოოთ 87 ათასი ტონა ხორცი დაკლული წონით, ამჟამად კი საზოგადოებრივი მეურნეობა აწარმოებს მხოლოდ 30 ათას ტონას, სხვანაირად რომ ვთქვათ, პირველი ეტაპის მისაღწევად ჩვენ ხორცის წარმოება 1961 წელთან შედარებით უნდა გავადიდოთ თითქმის სამჯერ.

მეორე ეტაპზე უნდა მივაღწიოთ 100 ჰექტარ სახნავზე 100 ცენტნერი ხორცის წარმოებას. ჩვენთვის ეს ნიშნავს ვაწარმოოთ 107 ათას ტონაზე მეტი წელიწადში, და მესამე ეტაპზე — ვაწარმოოთ 150 ცენტნერი ხორცი 100 ჰექტარ სახნავზე, ესე იგი საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა აწარმოონ დაახლოებით 148 ათასი ტონა ხორცი.

ეს ზღუდეები სავსებით რეალურია ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, თუ სერიოზულ ყურადღებას მივაქცევთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას, თუ მეტ ყურადღებას დავუთმობთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მეცხვარეობის, მეღორეობის, მეფრინველეობის განვითარებას, თუ სერიოზულად მოვკიდებთ ხელს მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.

ამას წინათ სოფლის მეურნეობის რესპუბლიკურ თათბირზე დაწვრილებით იყო განხილული მეცხოველეობის მდგომარეობისა და განვითარების საკითხები. ცოტა როდი ითქვა დიდ ბერწინობაზე, სადღეგრძელო სულადობის ზრდის უაღრესად ნელ ტემპებზე, სერიოზულ ნაკლოვანებებზე საჯიშე საქმის დაყენებაში, მოზარდფლის გაზრდაში, დიდ ჩამორჩენაზე მუშაობაში მეცხოველეობის საკვები ბაზის შესაქმნელად, პირუტყვის საგდგომების ასაგებად, მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

ჩვენ ვერ შევურიგდებით მეცხოველეობაში საქმის ასეთ ვითარებას. დროა ბოლო მოეღოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის ზოგადი დეკლარაციული ხელმძღვანელობის მეთოდებს, რომლებსაც მიეჩვევნენ ბევრი რაიონის ხელმძღვანელები. ღრმად უნდა ჩავწვდეთ მეურნეობას, ზოგადი მოწოდებებისა და რეზოლუციების ნაცვლად ყოველდღიურ გულმოდგინე მუშაობას უნდა ვეწეოდეთ.

ცნობილია, რომ რესპუბლიკის მეტ წილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული საკვები ბაზა ვერ უზრუნველყოფს მეცხოველეობის მოთხოვნილებებს საკვებით როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ. საკვები ბაზის განვითარება ძირითადად უნდა ხდებოდეს მიწების უკეთ გამოყენებით, ყველაზე მოსავლიანი კულტურების მოყვანით, ბუნებრივი სათიბების და საძოვრების გაუმჯობესებით და სწორი გამოყენებით. საკვების დაბალი ხარისხობრივი შედგენილობის, ბზის, სიმინდის ჩალისა და სხვა ნაკლებმაწიერი საკვების სიჭარბის შედეგად მეცხოველეობა განიცდის ცილების დიდ ნაკლებობას. გამოანგარიშებულია, რომ საშუალოდ რესპუბლიკაში დამზადებული საკვების ერთ საკვებ ერთეულზე მოდის სულ დიდი 60 გრამი მოსანელები ცილა, მაშინ როცა ცხოველების ნორმალური პროდუქტიულობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა სულ ცოტა 100 გრამი. ეს არის ცხოველთა მცირე პროდუქტიულობის, სადღეგრძელო სულადობის დიდი ბერწინობისა და პირუტყვის დიდი სიკვდილიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

ზაშასადამე, უნდა მივაღწიოთ არა მარტო იმას, რომ გავადიდოთ საკვების წარმოება რაოდენობის მხრივ, არამედ უნდა გავაუმჯობესოთ ხარისხიც. მეცხოველეობა საკმაო რაოდენობით უნდა უზრუნველყოთ ცილით.

წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა დაინერგოს ცილით მდიდარი ისეთი კულტურები, როგორიც არის ბარდა და საკვები პარკოსნები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცილით მდიდარ ისეთ საკვებ და სასურსათო კულტურას, როგორიც არის სოია. როგორც წესი, დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში სოია უნდა ითესებოდეს სიმინდთან ერთად, სადაც იგი კარგად მწიფდება მარცვლად.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამარცვლე ბარდის საადრეო ნათესებს ავიყვანთ 18 ათას ჰექტარამდე. დღეისათვის უკვე დათესილია 13 ათასი ჰექტარი.

ნაწვერალზე სიმინდის ნათესებს გარდა გათვალისწინებულია 80 ათასი ჰექტარი ბარდა დაითესოს სარწყავ მიწებზე თავთავიანი კულტურებისა და სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ.

ცალით მდიდარი დიდი მაწიეობის სასილოსე მასის წარმოების გადიდების მიზნით ფართოდ უნდა დავნერგოთ სიმინდისა და ბარდის შერეული ნათესები ბარდის ან მოთესვით მწკრივთაშორისებში სიმინდის მეორე კულტივაციის შემდეგ.

ამხანაგებო, უნდა ითქვას, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა უმრავლესობა, სპეციალისტები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები დიდი სერიოზულობით ეკიდებიან ამ საქმეს.

ბარდა ბევრი რაიონისათვის ახალი კულტურაა. საჭიროა, რომ ჩვენმა მეცნიერმა მუშაკებმა, აგრონომებმა, მექანიზატორებმა განსაკუთრებული კონტროლი გაუწიონ ამ კულტურის თესვის, მოვლისა და მოსავლის აღების სამუშაოებს. პარტია ამბობს: „მკვდარ ნათესბალახიან სქემას უნდა დავუპირისპიროთ ნათესი ფართობების ოცეცხლი, მიზანსწრაფული სტრუქტურა, რომელიც გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების მაქსიმუმის მისაღებად ყოველ ჰექტარ მიწაზე შრომისა და სახსრების რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით პროდუქციის ერთეულზე“.

ნათესბალახიანმა სისტემამ ზიანი მიაყენა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობასაც. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენს მცირემიწიანობის პირობებშიც კი, ნაწილობრივი რწყვისა და სითბოს სიუხვის დროს, როცა შეიძლება წელიწადში ორი მოსავალი მივიღოთ, შარშან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახებით, ნაკლებპროდუქტიული კულტურებით და ანეულით დაკავებული იყო 17 პროცენტზე მეტი სახნავი.

ზოგიერთ რაიონში ესპარცეტისა და იონჯის ნათესებით მიწა დაკავებული იყო 6-7 და მეტ წელს. სამწუხაროდ, ამას ურჩევდა ზოგიერთი ჩვენი მეცნიერიც.

ჩვენ შესაბამისი დასკვნები უნდა გავაკეთოთ წარსულის შეცდომებიდან. სრულიად არ უნდა გამოვრიცხოთ ბალახების ნათესები თივის ფხვნილის წარმოებისათვის და მათი თესვა მთის კალთებზე, სადაც საჭიროა მრავალწლიანი ბალახების თესვა ნიადაგის ჩამორეცხვის თავიდან ასაცილებლად, როგორც ეს უკვე ვთქვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე. საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გადასინჯონ ნათესების სტრუქტურა, რათა გაადიდონ მასში სიმინდის, პარკოსნებისა და შაქრის ჭარხლის, ესე იგი იმ კულტურების წილი, რომლებიც ყველაზე ეფექტიანია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

რესპუბლიკაში არის ფაქტები, რომ სახნავი მიწების მნიშვნელოვანი ფართობები არ მუშავდება, ბუჩქნარით იფარება და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოდის. პარტიის რაიკომები, რაიაღმასკომები შემრიგებლურად ეკიდებიან მიწის არსებითად ბარბაროსული გამოყენების ამ ფაქტებს, უფრო მეტიც, წინადადება შეაქვთ მთავრობაში, რომ ჩამოიწეროს ათეულ ათასობით ჰექტარი მიწა. მაგალითად, შარშან 80 ათას ჰექტარზე მეტი სახნავი მიწის ფართობი, ესე იგი თითქმის 10 პროცენტით გამოუყენებელი დარჩა. აქედან ბორის რაიონში — 4,9 ათასი ჰექტარი, სიღნაღის რაიონში — 2,8 ათასი ჰექტარი, ხობის რაიონში — 2,2 ათასი ჰექტარი და სხვ.

გადაჭრით უნდა მოვთხოვოთ თვითეულ რაიონს, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას მტკიცე წესრიგის დამყარება მიწათსარგებლობაში, შევამოწმოთ ყოველი ჰექტარი და მივიღოთ ღონისძიებანი სახნავის მთლიანად აღდგენისათვის. როგორც ჩანს, საჭიროა, რომ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციამ სპეციალურად განიხილოს მიწის გამოყენების მდგომარეობა.

როცა ვლაპარაკობთ ჩვენს რეზერვებსა და ჩვენს შესაძლებლობებზე, სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა მეთესლეობა და საჯიშე საქმე.

ბევრ მეურნეობაში მარცვლეული, ზეთოვანი და სხვა კულტურების მეთესლეობა არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ვერ უზრუნველყოფს თავის თავს საკუთარი წარმოების ჯიშიანი თესლით, სათესლე ფონდებში ინახავს არაკონდიციურ მარცვალს და დიდ ფართობებზე თესავს დაბალი ხარისხის თესლს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიუხედავად ხაშურის რაიაღმასკომმა ნება დართო ალის საბჭოთა მეურნეობას დათესოს 800 ცენტნერი აოკონდიციური ქერი. ამ რაიონის კოლმეურნეობებში 1961 წელს დაბალი ხარისხის თესლით დათესა საშემოდგომო კულტურების ფართობის 82 პროცენტი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 96 პროცენტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ხაშურის რაიაღმასკომის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გრიგალაშვილი და გვასალია განთავისუფლებული არიან სამუშაოდან და სასტიკად დაისაჯნენ.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებმა ამ გადაწყვეტილებიდან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ.

როგორც ხედავთ, არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დიდი შესაძლებლობანი. ყველა ჩვენი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მოწინავეთა დონემდე რომ ავიყვანოთ, ამის მიღწევა კი შეიძლება მოკლე ვადაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ჩვენს რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, შეიძლება რამდენჯერმე გაიზარდოს. რაღა გვიშლის ხელს?

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოხსენება, მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი ნათელ, დამაჯერებელ პასუხს იძლევიან ამ კითხვაზე.

ძირითადი მიზეზია არსებითად სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის უქონლობა. ჩვენ არა გვაქვს ორგანო, რომელიც აქტიურად ხელმძღვანელობდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, ყოველდღიურად უწევდეს კონტროლს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, აქტიურად ერეოდეს და პირდაპირ გავლენას ახდენდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ორგანიზაციაზე.

ამ ბოლო დროს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების რეორგანიზაციისათვის.

მაგრამ ეს გარდაქმნები დაცვლილებები არ შეხებია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის მთავარ რგოლს — წარმოებას, იგი კვლავ დარჩა გავლენის სფეროს გარეშე. სოფლის მეურნეობას კვლავაც არ მართავდნენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის ქსელში, საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოში, წყალთა მეურნეობის სამინისტროში, გაერთიანება „საქსოფლტექნიკაში“ ირიცხება ათეულ ათასობით მუშაკი, რომლებიც დასაქმებული არიან სასოფლო - სამეურნეო წარმოებაში, პლუს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა და პარტიის რაიკომების აპარატის მუშაკები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობს უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე 7 ათასზე მეტი სპეციალისტი, მაგრამ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა ხორციელდება კანცელარიული მეთოდით.

მრავალი სხდომა, ქაღალდების ნიაღვარი ახასიათებს რესპუბლიკური ორგანოების მუშაობის სტილს.

მუშაობის ასეთსავე სტილს იცავენ რაიონული პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები მოელიან ბრძანებას „ზემოდან“: რომელი რიცხვიდან დაიწყონ, აბრეშუმის ჭიის გამოკვება, როდის დაიწყონ პირუტყვის გადარეკვა ზაფხულის ან ზამთრის საძოვრებზე და სხვა სამუშაოები, როდის მოხნან და დათესონ. საქმე იქამდე მიდის, რომ პარტიის რაიკომის გადაწყვეტილების მიუღებლად, პარტიის რაიკომის მდივნის პირადი მითითების მიუღებლად კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას არ შეუძლია დაიწყოს სიმინდის თესვა, მოსავლის აღება, სასუქების შეტანა და სხვ და ა. შ.

პარტიული ორგანოები იქცევიან აგროტექნიკური და ზოოტექნიკური წესების კანონმდებლებად, არსებითად კი წარმოებს სოფლის მეურნეობის ზერელე, უპასუხისმგებლო ხელმძღვანელობა კონკრეტული აღგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად.

მართვის ასეთი სისტემა არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც დასახულია სოფლის მეურნეობის წინაშე, იგი აბრკოლებს იმ რეზერვების გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას აქვს.

მარტის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის მართვის ახალი ორგანოები, რომლებიც იმუშავებენ დაგეგმვაზე, განახორციელებენ კონტროლს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მდგომარეობისადმი, აქტიურ ზეგავლენას მოახდენენ წარმოების ორგანიზაციაზე თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და პასუხს აგებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფისათვის.

ამ მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს სოფლის მეურნეობის მართვის ახალი სტრუქტურა და სისტემა. ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში იქმნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები. პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ, რომელშიც ჩამოყალიბებულია ყველა ამოცანა და მართვის ახალი ორგანოების მუშაობის ხასიათი.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს ეკისრება შემდეგი ძირითადი ამოცანები:

მოაწყოს სოფლის მეურნეობის შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულება და ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი კონტროლი და სახელმწიფო დისციპლინის ზუსტად დაცვა;

უხელმძღვანელოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ორგანიზაციას და უზრუნველყოს, რომ თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ასრულებდეს წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმებს.

შეიმუშაოს და დანერგოს მიწათმოქმედების რაციონალური სისტემები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ მივიღოთ პროდუქციის ყველაზე დიდი გამოსავლიანობა ერთ ჰექტარ სახნავზე გაანგარიშებით;

მოაწყოს და შექმნას თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მტკიცე საკვები ბაზა სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბარდის, პარკოსნებისა და სხვა უხვმოსავლიანი კულტურების ნათესების ფართოდ დანერგვით, რათა შეიქმნას საკვების სიუხვე მეცხოველეობისათვის;

უზრუნველყოს ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდა და პროდუქტიულობის გადიდება;

განახორციელოს ღონისძიებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის და გადააქციოს ისინი მაღალ-საქონლურ და რენტაბელურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად.

სამმართველომ მიზნად უნდა დაისახოს რაც შეიძლება მალე აღმოფხვრას ისეთი სამარცხვინო მოვლენა, როცა ჰავისა და ნიადაგ-კლიმატური პირობებით [illegible] ოსურ იგივე სოფლის შეფასებისა [illegible] ოლქებში [illegible] კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სულ სხვადასხვა შედეგს იღებენ დახარჯული შრომის ერთეულზე, მიაღწიონ იმას, რომ სუსტი და საშუალო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აიყვანონ მოწინავეთა დონემდე.

ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები უნდა იყონ არა ბიუროკრატიული, არამედ ოპერატიული ორგანოები, ისინი მოვალენი არიან თავიანთი ღონისძიებანი წარმართონ უწინარეს ყოვლისა იქით, სადაც თავს იჩენს ორგანიზაციული და საწარმოო სისუსტე. ესე იგი განამტკიცონ სუსტი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, დროზე გაუწიონ მათ საჭირო დახმარება ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობით, გაგზავნონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უშუალოდ ბრიგადებსა და გახყოფილებებში ინსპექტორ-ორგანიზატორები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები, რათა ადგილობრივ გადაჭრან წარმოებისა და დამზადების საკითხები.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებს ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებში იქნებიან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პარტორგები და ინსტრუქტორთა ჯგუფი, რათა დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის განხორციელებაში, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შორის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების დროზე შესრულებისათვის. ცენტრალური კომიტეტის პარტორგი მუშაობს პარტიის რაიონულ კომიტეტებთან მჭიდრო კონტაქტით.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში იქნებიან აგრეთვე რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, კომკავშირის საოლქო კომიტეტის კომორგები და ინსტრუქტორთა ჯგუფი. კომორგის მთავარი ამოცანაა დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირულ ორგანიზაციებს ახალგაზრდობის აღზრდაში, წარმოებაში აქტიური მონაწილეობისათვის მის ჩაბმაში, ახალგაზრდობის მობილიზაციაში იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობას ახორციელებენ ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები დემოკრატიულ საფუძველზე ორსაფეხურიანი იერარქიის საწარმოო სამმართველოს საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საწარმოო-ტერიტორიული სამმართველოს უფროსი — იგივე საბჭოს თავმჯდომარე; ცენტრალური კომიტეტის პარტორგი; ცენტრალური კომიტეტის კომორგი; კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები; პარტიის რაიკომების პირველი მდივნები და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები; „სოფლტექნიკის“ განყოფილებათა მმართველები.

საბჭოს იწვევენ სამ თვეში ერთხელ მაინც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარებისა და განმტკიცების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ძირითადი საკითხების განსახილველად და გადასაჭრელად.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში იქმნება სოფლის მეურნეობის კომიტეტები.

სოფლის მეურნეობის კომიტეტს მეთაურობს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. კომიტეტში შედიან: საოლქო აღმასკომის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობს, — იგივე საოლქო სამმართველოს უფროსი; სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი; პარტიის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე; გაერთიანება „სოფლტექნიკის“ თავმჯდომარე.

რესპუბლიკაში შეიქმნება სოფლის მეურნეობის კომიტეტი.

სოფლის მეურნეობის კომიტეტს სათავეში უდგას კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. კომიტეტში შედიან: რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობს, — იგივე სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროსი; [illegible] — იგივე [illegible] ; [illegible] ; [illegible] ;

პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება!

ამხანაგ ვ. პ. მუკავანაძის მოხსენება

(დასასრული)

არის ახლა უფრო მაღალი და ვინ არის უფრო დაბალი. რა თქმა უნდა, ამ ლაპარაკს არავითარი სერიოზული ნიადაგი არა აქვს. ეს მხოლოდ იმის შედეგია, რომ არ ესმით პარტიის ღონისძიებათა არსი, ეს ლაპარაკი გამოხატავს იმ ადამიანთა შეხედულებებს, რომლებიც საგნებს უყურებენ თანამდებობრივი საგარეულიდან. ახალი ორგანოების სახით რაიკომები მიიღებენ სერიოზულ მხარდაჭერას, რადგან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უშუალო საწარმოო მართვა გადაეცემათ სპეციალურ ორგანოებს. პარტიის რაიკომს არ მოეხსნება პასუხისმგებლობა მთელი პოლიტიკური საქმიანობისათვის რაიონში, რაიონის ყველა კომუნისტის საქმიანობისათვის, სადაც უნდა მუშაობდნენ ისინი, ქარხანაში თუ კოლმეურნეობაში, სკოლაში თუ საავადმყოფოში. პარტიის თვითეული რაიკომის ღირსების საქმეა უაღრესად ქმედითი. დახმარება გაუწიოს ახალ სამმართველოს და ცენტრალური კომიტეტის პარტორგს მათს მუშაობაში.

რა თქმა უნდა, საქმის წარმატება წყდება კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ჩაის პლანტაციებში, ვენახებში, მეცხოველეობის ფერმებში, მთლიანად დამოკიდებულია. კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომასა და შეგნებაზე. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ კვალიფიციური ხელმძღვანელობა და დახმარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი. საჭიროა, რომ თვით ხელმძღვანელები იყონ დაუფლებულნი ცოდნას, მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას, რომ შეეძლოთ გაბედულად იბრძოლონ უძრაობის, რუტინის წინააღმდეგ, მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის.

სამმართველოების მუშაკებმა, პარტორგებმა და კომორგებმა პირველ რიგში თვითონ უნდა ისწავლონ და ისწავლონ. ხომ ძალიან ნელა, დიდი გაჭირვებით ინერგება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ყოველივე ახალი და პროგრესული.

რესპუბლიკას აქვს ბევრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, საცდელი სადგურები, სადაც მუშაობს თავისი საქმის ბევრი ენთუზიასტი, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ცხოვრებას, რომელთა შრომის შედეგებს დიდი მეცნიერული და საწარმოო მნიშვნელობა აქვს. დარწმუნებული ვართ, რომ ახლა ჩვენი მეცნიერები უფრო ენერგიულ დახმარებას გაუწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მათი მუშაობის ამ ახალ პირობებში.

ამჟამად, როცა უკვე შექმნილია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები, საჭიროა უმოკლეს ვადაში გადავჭრათ ყველა ორგანიზაციული საკითხი, ესე იგი დავაკომპლექტოთ სამმართველოს აპარატი, შევარჩიოთ ინსტრუქტორები და ინსპექტორები, შევქმნათ საბჭოები, გავერკვეთ თვითეული ზონის საქმის ვითარებაში. ახალი სამმართველოების დასახმარებლად ცენტრალური კომიტეტის ბიურო მიავლენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებსა და ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან ადგილობრივ გადაწყვიტონ ყველა წამოჭრილი საკითხი.

პლენუმის დადგენილების შესაბამისად, როგორც იცით, გაუქმებულია დამზადების სამინისტრო და საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო და შექმნილია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. მ. ი. კუჭავას მეთაურობით. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი სამინისტრო ახლებურად იმუშავებს, არ აღადგენს კანცელარიულ ტრადიციებს, სამინისტროს აპარატი პატარა, ოპერატიული უნდა იყოს. ახალ სამინისტროში, ჩვენ წინადადება შევიტანეთ და სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ამ ჩვენს წინადადებას, ფუნქციონალური სამმართველოსაგან განსხვავებით, იქმნება მთავარი ინსპექციები ზონების მიხედვით.

მთავარი ინსპექციები მჭიდროდ უნდა იყონ დაკავშირებულნი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან, ყოველდღიურად იცოდნენ საქმის ვითარება და, რაც მთავარია, ოპერატიულად, ადგილზე უწევდნენ დახმარებას ამა თუ იმ წამოჭრილი საკითხის გადაწყვეტაში.

ამხანაგებო!

გაზაფხული ძალაში შევიდა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში საოფლო-სამეურნეო სამუშაოები გაჩაღდა. უნდა აღინიშნოს, რომ წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაობი უკეთ მიმდინარეობს. უკვე დათესილია თითქმის ორნახევარჯერ მეტი, ვიდრე გასული წლის ამ დღეს იყო დათესილი. მნიშვნელოვნად მეტია დათესილი მზესუმზირა, კარტოფილი, ბოსტნეული, ბარდა და სხვა კულტურები.

ბევრი რაიონი უკვე შეუდგა სინიდის თესვას, მაგრამ გვალვიანი გაზაფხულის გამო აღმოსავლეთ საქართველოში თესვის ტემპები უნდა გაძლიერდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხარისხს.

უდიდესი მუშაობა, რასაც პარტია ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის გარდაქმნისათვის, არარაობად იქცევა, მთელი ჩვენი გეგმები და ვალდებულებანი ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდება, თუ ისე არ მოვაწყეთ მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, როგორც საჭიროა.

არ შეიძლება ხელიდან გავუშვათ მომენტი, უნდა დავეხმაროთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დროზე გარდაქმნან ნათესი ფართობების სტრუქტურა, უაღრესად სასტიკ კანონად გადააქციონ აგროტექნიკური წესების დაცვა და უკვე 1962 წელს მიაღწიონ მნიშვნელოვან წარმატებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა სახელოვანმა საბჭოთა ხალხმა ბევრი დიდი და ძნელი ამოცანა გადაწყვიტეს. ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორია ნათელი მომავლისათვის, მშრომელთა ბედნიერი, საამური, უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის პარტიისა და ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიაა. სასახარულოა იმის შეგნება, რომ ამ ბრძოლამ შესანიშნავი შედეგები მოგვცა, რომ ჩვენი თანამემამულეების სისხლსა და ოფლს, რომელიც დაღვარეს საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში და ხუთწლედების პირველ მშენებლობებზე, სამამულო ომის ფრონტებსა და ყამირის თვალუწვდენ სივრცეებზე, ამაოდ არ ჩაუვლია.

ახლა ჩვენი სამშობლო მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოა, მშრომელთა თავისუფალი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა, რომლის გრანდიოზული წარმატებებით ამაყობს და აღტაცებულია ჩვენი პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანი. ამხანაგებო, ჩვენ უნდა, უზრუნველვყოთ ჩვენი ხალხი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. ამისათვის საჭიროა, რომ კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, კომუნისტებმა და კომკავშირელებმა. ყველა მშრომელმა ძალებისა და ენერგიის დაუშურებლად ბეჯითი და პატიოსანი შრომით მიაღწიონ სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას, ხალხისათვის პროდუქტების სიუხვის შექმნას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მინდა მტკიცე რწმენა გამოვთქვა, რომ საქართველოს კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, მრეწველობის მუშაკები, ჩვენი მეცნიერები, ყველა მშრომელნი როგორც ყოველთვის პირნათლად შეასრულებენ პარტიის დავალებას, თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში!

მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

მთელი ძალები, ენერგია მოვახმაროთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილების შესრულებას, გაჯანსაღოველოთ პარტიის XXII კონგრესის ისტორიული გადაწყვეტილებანი — ასეთია ერთიანი მისწრაფება, რომელიც ზოლად გასდევდა პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებს.

ინტერესით მოისმინეს თეთრი წყაროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგის ამხ. ა. ს. ბეკაურის გამოსვლა. მან ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს სამმართველოში შემავალ რაიონებში.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას. ამას ადასტურებს მრავალი მაგალითი. თეთრი წყაროს რაიონში გვალვა იცის, ასეთ წლებში მოსავალი მცირდებოდა, პირუტყვს საკვები არ ჰყოფნიდა. მაგრამ მთელ რიგ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებიც შარშან განხორციელდა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესებისათვის, გვალვის მიუხედავად, მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქციის სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები. რაიონის ყველა კოლმეურნეობაში დანერგილია ირმის სანაღვრო ანაზღაურება. ზეგეგმიური პროდუქციისათვის კოლმეურნეებს დამატებითი ანაზღაურება ეძლევათ.

თეთრი წყაროსა და ნალკის რაიონები მთიანი რაიონებია, აქ ბევრია სათოხნი კულტურებისათვის უვარგისი ნაკვეთები. ეს, რა თქმა უნდა ხალხები უნდა დაიოსოს. მთელი დანარჩენი ფართობი უნდა გადაიხნას და დაითესოს სიმინდი, ბარდა, შაქრის ჭარხალი საკვებად.

გასულ წლებში ჩამოწერილი იყო მნიშვნელოვანი ფართობები. ეს მიწები შეიძლება გამოვიყენოთ და ადიბიაც უნდა გამოვიყენოთ ნათესებისათვის, რომლებიც ხაადაგს დაიკავებენ ჩამორეცხისაგან.

სათოხნი კულტურების დანერგვა საშუალებას მოგვცემს მტკიცე საკვები ბაზა შეეუქმნათ მეცხოველეობას. თეთრი წყაროს რაიონში ხორცისა და რძის წარმოება გეგმასთან შედარებით შეიძლება გადიდდეს ! დაახლოებით 20-30 პროცენტით.

ორატორი ყურადღებას ამახვილებს ბოსტნეულის დამზადების საკითხებზე. ზაფხულის პერიოდში, როცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდძალი ადამიანები მაგალითი. თეთრი წყაროს რაიონში გვალვა იცის, ასეთ წლებში მოსავალი მცირდებოდა, პირუტყვს საკვები არ ჰყოფნიდა. მაგრამ მთელ რიგ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებიც შარშან განხორციელდა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესებისათვის, გვალვის მიუხედავად, მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქციის სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები. რაიონის ყველა კოლმეურნეობაში დანერგილია ირმის სანაღვრო ანაზღაურება. ზეგეგმიური პროდუქციისათვის კოლმეურნეებს დამატებითი ანაზღაურება ეძლევათ.

ბევრი ადგილია, სადაც ადამიანებს ბოსტნეულის ბაზარზე ბალახებიც ეყიდა. ეს ბევრჯერ ითქვა და, როგორც ჩანს, დადგა დრო პასუხი მოვთხოვოთ იმათ, ვინც ცუდ ტექნიკას უშვებს. ბოლოს და ბოლოს, საჭიროა ვენახების შესხურება შაბიამნის ხსნარით ვაწარმოოთ თვითმფრინავიდან, რაც კოლმეურნეებს გაათავისუფლებს მძიმე ფიზიკური სამუშაოსაგან.

ამ საკითხებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **ლ. ბადურაშვილმა.** იგი შეეხო აგრეთვე მევენახეთა და მეღვინეთა მომავალი საერთაშორისო კონგრესისათვის მზადების საკითხებს. კონგრესის მუშაობა იწრმოებს წინანდლისა და ნაფარეულის ღვინის ქარხნებში, აგრეთვე ნაფარეულის მევენახეობის სამეურნეოში. ამ მეურნეობებში წარმოებს მოსამზადებელი მუშაობა. მაგრამ გასაკვირველი ნაფარეულის ღვინის ქარხანაში ბრკოლებაა ახალი მწყობილობის მონტაჟი, წინანდლის ღვინის ქარხანაში დღემდე არ დაიწყიათ ელექტროქსელის კაპიტალური რემონტი. საჭიროა უახლოეს ხანში მოვიწვიოთ კონგრესისათვის მზადების საორგანიზაციო კომისიის სხდომა, რათა დავსახოთ ქმედითი ღონისძიებანი ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებულ სამუშაოთა დასაჩქარებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი უმაგალითო შრომითი აღმავლობა გამოიწვია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ეს ჩანს საგაზაფხულო თესვის კამპანიის პრაქტიკული საქმეებით, — თქვა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ვ. ი. გაზაევმა.** — თესვის დაწყებისათვის შეკეთებული იყო ყველა ტრაქტორი, საკიდი და მისაბმელი იარაღები. მინდვრად გადანილია დიდძალი სასუქები. 25 მარტისათვის საგაზაფხულო კულტურები დაითესა ათი პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან ამ თარიღისათვის. დამთავრდა შაქრის ჭარხლის თესვა. ბარდა ახალი კულტურა როდია ჩვენს ოლქში, მაგრამ იგი მივიწყებული იყო. და აი ახლა, დიდი შესვენების შემდეგ, კოლმეურნეობებმა ხალისით მოკიდეს ხელი მის მოყვანას, სათესელ მიწნით ჩვენ გამოვყავით 330 ჰექტარი, მაგრამ კოლმეურნეობებმა 40 ჰექტარით მეტი დათესეს. ჯეჯილი კარგად ამოვიდა.

კარგად დაიწყო წელი მიცხოველეობის ბევრმა ფერმამ. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე შესრულდა.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს ხორცის წარმოების გადიდებისათვის. შარშანდელთან შედარებით თითქმის ოთხჯერ გაიზრდება გასუქებული ღორების რაოდენობა. წარმატებით მოეწყო ფოლი ყიზლარის საძოვრებზე, სადაც იმყოფება ლენინგრარის, ჯავის, ცხინვალის რაიონების დიდძალი ცხვარი. ჩამორჩენა გვაქვს რძის წარმოებაში. მაგრამ ვიღებთ კონკრეტულ ღონისძიებებს და ყველა საფუძველია ვიფიქროთ, რომ მეურნეობანი დანერგვის გზით მიაღწიონ ჩაის ფოთლისა და ციტრუსოვანთა მოსავლიანობის ზრდას. გადაწყდა სახელმწიფოს მიეყიდოს 50 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და 20 ტონით მეტი ციტრუსები, ვიდრე შარშან.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობაში წარმოების ძირითადი დარგებია მეჩაიეობა და მეციტრუსეობა, ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს განვავითაროთ მეცხოველეობაც. საკუთარი საკვები ბაზის შექმნის მიზნით ჭელს პირველად გამოვყავით ბარდის დასათესად ხუთი ჰექტარი. 40 ჰექტარ ფართობზე სიმინდი აღებულ იქნება სასილოსად. გათვალისწინებული გვაქვს თვითეულ ძროხაზე ჩავდოთ 13 ტონა სიმინდის სილოსი.

ორატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა მეჩაიეთა უკეთ მომარაგება სპეციალური ტანსაცმლით. მრეწველობამ სოფლის მეურნეობას უნდა მისცეს მეტი ვატომანქანები, სატრაქტორები, აგრეთვე მინერალური სასუქები.

ჩვენს კოლმეურნეობაში ენთუზიაზმით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებას სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ.

იმ მუშაობაზე, რომელიც ახლა გაჩაღდა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მარხაანის საყრდენ-საჩვენებელ კოლმეურნეობაში, ილაპარაკა ამ კოლმეურნეობის მემანდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა **პ. მ. ტოკლიკიშვილმა.**

ხორბლის საშემოდგომო ნათესებს ჩვენში უჭირავს 2.390 ჰექტარი, ქერს —600 ჰექტარი. წაესუმზირა უკვე დათესა 700 ჰექტარზე, ბარდა — 170 ჰექტარზე, საკვები ჭარხალი — 100 ჰექტარზე. სიმინდისათვის გამოყოფილია 1.520 ჰექტარი, აქედან 120 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე გადაწყდა მივიღოთ 60 ცენტნერი მარცვალი.

დიდი აღმავლობით შრომობენ ამ დღეებში იმ ბრიგადის წევრები, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. ბრიგადამ გადაწყვიტა მინდვრის მთელი სამუშაოები დაამთავროს საუკეთესო «აგროტექნიკურ ვადებში, მიაღწიოს ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღებას. ჩვენ განვახორციელეთ მუშაობა მღრღნელების მოსასპობად, ბრძოლა სარეველების წინააღმდეგ.

მთელი ტექნიკა წესიერ მდგომარეობაშია. ჩვენი მიზანია მთლიანად მოვსპოთ ხელის შრომა, განვახორციელოთ თვითვაიანი და სათოხნი კულტურების მოვლა-მოყვანის ყველა პროცესის მექანიზაცია. კომპლექსური მექანიზაცია გაადიდებს მოსავალს, მნიშვნელოვნად შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილების პასუხად ბრიგადის მიერ ნაკისრი ვალდებულებებით გათვალისწინებულია სამუშაოდ ჰექტარზე მივიღოთ 23 ცენტნერი ხორბალი, 17 ცენტნერი მზესუმზირა, 200 ცენტნერი ჭარხალი და 180 ცენტნერი ბარდა.

ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო ორგანოების და, კერძოდ, გაერთიანება „სოფლტექნიკის“ ამოცანები. ამ ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს სოფლის მეურნეობაში კომპლექსური მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, წარმოებაში ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენებისათვის, დაეხმაროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უკეთ გამოიყენონ ტექნიკა, წარმართოს მუშაობა ახალი სისტემების მანქანების შესაქმნელად, განსაკუთრებით სამთო მიწათმოქმედებისათვის. „სოფლტექნიკის“ ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ ამა თუ იმ კულტურების მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის ტექნოლოგიური რუკები, გაუაზრონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზაცია, დაადგინონ სტრუქტორო სამუშაოთა და საწვავის ხარჯის ნორმები. თუ რა ეკონომია ამ მიმართულებით რესპუბლიკაში, ამაზე ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მონაწილემ, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრმა ამხ. **ი. მ. ხოხლოვმა.**

უნდა ვაღიაროთ, თქვა მან, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს საჭირო ბაზა ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად. ძალან სუსტია სოფლის მეურნეობის სარემონტო ბაზა. არ არის სარემონტო სახელოსნოების საკმაო საწარმოო ფართობები. ყოფილი მტს-ების სარემონტო ქარხნები და სახელოსნოები უნდა დაუბრუნდეს „სოფლტექნიკას“. საჭიროა აგრეთვე სამეცნიერო-ექსპერიმენტული ბაზა. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადაეცეს „სოფლტექნიკას“ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საცდელი ინსტიტუტი.

„საქსოფლტექნიკის“ რაიონულ გაყოფილებათა მუშაკები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ახლა გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ, რათა მეტი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

წელს ფართოდ დაინერგება ტრაქტორების საგარანტიო რემონტი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო პარკის გამოყენებას გაუჭობესების მიზნით შეიქმნება ტექნიკური მომსახურების 15 საადგური.

გაგრისა და გალის რაიონებში მექანიზებული წესით ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციების გასაშენებლად მოეწყობა საფეხურებიანი ტერასები. კომპლექსური მექანიზაცია დაინერგება მებოსტნეობაში. მეცხოველეობის 40 ფერმაში მექანიზებული იქნება ყველა შრომატევადი პროცესი. განხორციელდება ღონისძიებანი, რათა მაქსიმალურად დაინერგოს მექანიზაცია ბარდისა და სხვა პარკოსახი კულტურების შოვლა-მოყვანაში.

ორატორი აყენებს საკითხს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ახლად შექმნილი სამინისტროს სტრუქტურაში შეტანილი იქნას ინჟინერი-მექანიტორთა საშტატო ერთეულები. სამინისტროს აპარატში მუშაობით ინჟინერ-მექანიზატორები და ინჟინერ-ელექტრიკოსები მოახდენენ ტერიტორიული სამმართველოების მუშობის კოორდინაციას ტექნიკის გამოყენების დარგში, დაეხმარებიან მათ დანერგონ სოფლის მეურნეობაში მუშობის ინდუსტრიული მეთოდები.

ყოველწლიურად იმართება სემინარები სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის შესასწავლად. ახლა აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში წარმოებს სიმინდის მასობრივი თესვა, ხოლო დასავლეთ საქართველოში თესვა რამდენადმე გვიან დაიწყება. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება გავგზავნოთ აღმოსავლეთ საქართველოში მექანიზატორები. დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებიდან, სადაც ეს კულტურა დიდ ფართობებზე ითესება, რათა პრაქტიკულად შეისწავლონ კვადრატულ-ბუდობრივი თესვა. მაგალითად, ზუგდიდის რაიონიდან შეიძლება 5-6 მექანიზატორი გაგზავნოს გურჯაანში, ამაშიდან სიღნაღში, სამტრედიიდან წითელწყაროში და სხვ.

ახლა ყველგან ვაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები. ყველა პირობაა იმისათვის, რომ მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მაღალ დონეზე განხორციელდეს. „საქსოფლტექნიკის“ სისტემის მუშა-მოსამსახურეთა მრავალთასიანი კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს, რათა დაეხმაროს სოფლის მშრომელებს მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

რუსთავლოს მებოსტნეობა-მერძევეობის სკკპ-ოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. **ა. გ. ჩხეტიანმა** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იბრძვის ამ ახალგაზრდა მეურნეობის კოლექტივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, ბოსტნეულითა და რძით თბილისისა და რუსთავის მშრომელთა მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

წელს საბჭოთა მეურნეობის წინაშე დიდი ამოცანები დგას. სახელმწიფოს უნდა მიეყიდოთ 6.600 ტონა ბოსტნეული და ბაღჩეული, 1.300 ტონა რძე, 230 ტონა ხორცი, ათას ტონამდე ხილი და ყურძენი. გასული წლის სექტემბერ-ნოემბერში 211 ჰექტარ ფართობზე, გეგმით გათვალისწინებული 188 ჰექტარის ნაცვლად, დათესა საადგილო ბოსტნეული. მოსავალი ამ ფართობიდან სახელმწიფოს ჩაბარდება მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალში. ამით საფუძველი ჩაეყრება ბოსტნეულით ქალაქების განუწყვეტელ მომარაგებას.

ორატორი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ დიდია ბოსტნეულის წარმოების თვითღირებულება. ამის ძირითადი მიზეზია შექანიზაციის გამოყენების დაბალი დონე.

წელს საბჭოთა მეურნეობაში განზრახულია 400 ჰექტარი ბოსტნეულის ნათეს ფართობზე დაინერგოს კომპლექსური მექანიზაცია. ამ მიზნით დაკომპლექტებულია ოთხი კომპლექსური ბრიგადა, რომლებშიც 30-მდე მექანიზატორია შედის. ძირითადი მანქანები და იარაღები უკვე მიღებულია, რამაც საშუალება მოგვცა მექანიზებული წესით დაგვეთესა ხახვი, სტაფილო და სუფრის ჭარხალი რეკომენდებული სქემით. ახლა წარმოებს ნათესების მასობრივი დამუშავება და ჩითლის რგვა. ეს ღონისძიებანი შეამცირებენ ბოსტნეულის წარმოების თვითღირებულებას. წინასწარი გაანგარიშებით მარტო ხახვისა და სტაფილოს ნათესების მანქანური დამუშავება ორნახევარჯერ-სამჯერ შეამცირებს ხარჯებს ხელის შრომასთან შედარებით. დაახლოებით ასეთივე შედეგები იქნება მიღებული სხვა ბოსტნეული კულტურების მოყვანაზე.

საბჭოთა მეურნეობაში დიდმნიშვნელოვანი საქმეა რძის წარმოება. გასულ წელს საბჭოთა მეურნეობამ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა, რაც გამოწვეული იყო საკვების ნაკლებობით, დიდი ბერწიანობით და ჯოგში დაწუნებული პირუტყვის დიდი პროცენტით. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა მხურვალედ მოჰკიდა ხელი ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას.

ორატორი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ დიდია ბოსტნეულის წარმოების თვითღირებულება. ამის ძირითადი მიზეზია შექანიზაციის გამოყენების დაბალი დონე.

წელს საბჭოთა მეურნეობაში განზრახულია 400 ჰექტარი ბოსტნეულის ნათეს ფართობზე დაინერგოს კომპლექსური მექანიზაცია. ამ მიზნით დაკომპლექტებულია ოთხი კომპლექსური ბრიგადა, რომლებშიც 30-მდე მექანიზატორია შედის. ძირითადი მანქანები და იარაღები უკვე მიღებულია, რამაც საშუალება მოგვცა მექანიზებული წესით დაგვეთესა ხახვი, სტაფილო და სუფრის ჭარხალი რეკომენდებული სქემით. ახლა წარმოებს ნათესების მასობრივი დამუშავება და ჩითლის რგვა. ეს ღონისძიებანი შეამცირებენ ბოსტნეულის წარმოების თვითღირებულებას. წინასწარი გაანგარიშებით მარტო ხახვისა და სტაფილოს ნათესების მანქანური დამუშავება ორნახევარჯერ-სამჯერ შეამცირებს ხარჯებს ხელის შრომასთან შედარებით. დაახლოებით ასეთივე შედეგები იქნება მიღებული სხვა ბოსტნეული კულტურების მოყვანაზე.

საბჭოთა მეურნეობაში დიდმნიშვნელოვანი საქმეა რძის წარმოება. გასულ წელს საბჭოთა მეურნეობამ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა, რაც გამოწვეული იყო საკვების ნაკლებობით, დიდი ბერწიანობით და ჯოგში დაწუნებული პირუტყვის დიდი პროცენტით. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა მხურვალედ მოჰკიდა ხელი ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას.

თუ რა დიდად დაეხმარა გორის რაიონის სოფელ ზედფუღეთის კოლმეურნეებს შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანაში წარჩინებული ყუბანელი მექანიზატორის ვ. სვეტლიჩნის გამოცდილების გაცნობა, ამაზე ილაპარაკა კოლმეურნეობის მექანიზატორმა **გ. ა. ცერცვაძემ.** კოლმეურნეთა ჯგუფი ესტუმრა სვეტლიჩნის, შეისწავლა ჭარხლის ნათესების მოვლის ახალი მეთოდების ცალკეული პროცესები, გაეცნო ჭარხლის პლანტაციებში გამოყენებული მანქანების კომპლექსს. ყუბანელ კოლმეურნეთა მაგალითისამებრ შეიქმნა მექანიზებული რგოლი, რომელაც გამოუყვეს 70 ჰექტარი შაქრის ჭარხლის ნათესები და 200 ჰექტარი სიმინდი. თესვისა და მცენარეთა მოვლის მოწონაგი ხერხების განხორციელება წაშუალებას აძლევს ზედფუღეთელ კოლმეურნეებს ივარაუდონ ჰექტარზე 600 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მიღება.

კოლმეურნეობაში გადაწყდა სიმინდი დათესონ კვადრატულ-ბუდობრივი წესით. ყველა სხვა სამუშაოსაც მანქანები შეასრულებენ.

უკანასკნელ წლებში,—თქვა ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ვ. ა. დურგარიანმა,** — რაიონის სოფლის მეურნეობაში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოებაში. მაგრამ მეურნეობებს წარმოების დიდი რეზერვები აქვთ, ესაან კოლმეურნეობები. სადაც შრომა ცუდად არის ორგანიზებული, სწორად არ არის გამოყენებული მიწის სავარგულები, არ სრულდება სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

რაიონში გადაისინჯა მიწათსარგებლობის სტრუქტურა. აღმოჩნდა, რომ სახნავი მიწების მეტ ნაწილზე ბალახები იყო დათესილი. ახლა უპირატესობა ეძლევა ბარდას, შაქრის ჭარხალს, ცერცველას. რაიონის მეურნეობანი ძირითადად უზრუნველყოფილი არიან სათესლე ფონდებით. საგაზაფხულო სამუშაოები უკვე დაიწყო და ორგანიზებულად მიმდინარეობს. მიღებულია ზომები, რომ დაითესოს კონდიციური თესლი.

მიუხედავად პირუტყვის სულადობის ზრდისა, რაიონი ჩამორჩენა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმის შესრულებაში. ახლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტთა, ხელმძღვანელთა, მეცხოველეთა მთელი ყურადღება ექცევა იმას, რომ დაძლეულ იქნას ჩამორჩენა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. **მ. ი. კუჭავამ** დაწერილებით ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც პარტიამ შემოუშავა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა დასახა ამოცანა, რომ უახლოეს რამდენიმე წელიწადში გაორკეცდეს და გასამკეცდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. სერიოზული ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის წინაშეც. ხორცის წარმოებამ უნდა შეადგინოს 100 ჰექტარ ხახნავზე 75 ცენტნერი, ხოლო 100 ჰექტარ სხვა სავარგულებზე—16 ცენტნერი. ეს პირველი ეტაპია, რომელიც უნდა განვლოს თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ და არა სამუალოდ რაიონმა ან რესპუბლიკამ. შემდეგში კი ჩვენ უნდა გავიაროთ მეორე და მესამე ეტაპები—ვეიყვანოთ ხორცის წარმოება 100, ხოლო შემდეგ 150 ცენტნერამ

ყველაზე ძვირფასი და მახლობელი იდეა

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რადიოსათვის 1962 წლის 27 მარტს

ჟენევა, 27 მარტი. (საკდისის სპეც. კორ.). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ დღეს შემდეგი განცხადება გააკეთა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რადიოსათვის.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ არარის სხვა იმაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რომ უზრუნველყოფილი იყოს მტკიცე მშვიდობა ხალხებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად საბჭოთა მთავრობა არ შეურებს არც ძალღონეს, არც ენერგიას.

საბჭოთა კავშირს ურღვევი მშვიდობის დამკვიდრების ყველაზე სამშვიდო და სწორ გზად მიაჩნია საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელება. ჩვენ შეგვიძლია სამართლიანად დავამტკიცოთ იმით, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების იდეა, რომელიც ჩვენ ავეყანეთ წამოაყენა, დაუფლა ადამიანთა გონებას, გახდა ხალხებისათვის ყველაზე ძვირფასი და მახლობელი იდეა, რომელსაც ისინი უკავშირებენ მშვიდობიანი, მყუდრო ცხოვრების იმედს. ახლა მსოფლიოში ადამიანთა დიდი უმრავლესობა საყოველთაო და სრული განიარაღების მხურვალე მომხრეა.

საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ისწრაფოდა, რომ ეენეევაში დაწყებული მოლაპარაკება თავიდანვე ჩამდგარიყო საქმიან პრაქტიკულ კალაპოტში, შეიმუშავა და შეიტანა 18 სახელმწიფოს კომიტეტში საერთაშორისო კონტროლს დაკვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების პროექტი. მან დასახა კარგი საფუძველი იმისათვის, რომ 18 სახელმწიფოს კომიტეტს შეეძლო სწრაფად და წარმატებით შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განაწესი საყოველთაო და სრული განიარაღების შეთანხმების მომზადების შესახებ.

საჭიროა მხოლოდ მოლაპარაკების ყველა მონაწილის კეთილი ნება, რათა განხორციელდეს ხალხთა ოცნება — შექმნან მსოფლიო, რომელიც თავისუფალი იქნება იარაღისაგან და რომელიც აღარ ბოიწამლება ატომური იარაღის აფეთქებისაგან.

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მოლაპარაკების ყველა მონაწილე, როდი მზად გამოიჩინოს ასეთი კეთილი ნება. ჯერ კიდევ არიან იმის მოიკვარულნი, რომ განიარაღების საკითხთა საქმიანი განხილვა და გადაჭრა შეცვალონ საპროპაგანდო ჩრიკებით. როგორც აღვართხელ უქნიათ ეს წარსულში. მათ სურთ ხალხების ყურადღება ჩამოაშორონ საყოველთაო და სრული განიარაღების საარსებო მნიშვნელობის პრობლემას, გაართულონ გითარება მოლაპარაკებაზე და ხელი შეუშალონ იმ საკითხთა მალე გადაჭრას, რომლებიც კომიტეტის წინაშე დგას.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას ვაპყრობს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბ-ნ რასკის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რადიოთი 1962 წლის 23 მარტს. იგი ამტკიცებდა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები ყენევაში ჩავიდნენ იმ განზრახვით, რომ ხელი შეუწყონ შეთანხმების განიარაღების შესახებ. მაგრამ ის, საითაც მიჰყავს საქმე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდგომარეობა, ეს. ბ. ბ. რასკი ამბობს, რომ სსრ კავშირმა უნდა შექმნას პირობები ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შეთანხმების დასადებად. მაგრამ რა პირობებზე შეიძლება ლაპარაკი, რაც საბჭოთა კავშირმა, როგორც ეს ფართოდ არის ცნობილი, არა მარტო შექმნა პირობები შეთანხმებისათვის, არამედ თათბირის განსახილველად შეიტანა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ კონკრეტული შეთანხმების ტექსტი, ამასთან განაცხადა, რომ მზად არის ასეთი შეთანხმებას მოაწეროს ხელი ყოველ მომენტში.

ასეთი შეთანხმების პროექტი რომ შემოვიტანეთ, ჩვენ, როგორც ცნობილია, გავთვალისწინეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანის 1961 წლის 3 სექტემბრის წინადადებანიც, რომლებშიც აღიარებული, რომ საკმარისია ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისადმი კონტროლის ეროვნული საშუალებანი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონტროლის ეროვნული საშუალებები საკმარისია აგრეთვე იმისთვის, რომ ალმოვაჩინოთ ატომური აფეთქებანი როგორც კოსმოსურ სივრცეში, ისე ყველგვშაც.

ახლა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებს თავი ისე მოაქვთ, თითქოს დასავლეთის სახელმწიფოთა 1961 წლის 3 სექტემბრის ეს წინადადებანი არ არსებობდეს. მაგრამ რა შეიცვალა მას შემდეგ? სრულიად არაფერი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ატომური იარაღის აფეთქების ალმოჩენის ეროვნული საშუალებანი დროის ამ მონაკვეთზე სხვადასხვა ქვეყანაში კიდევ უფრო გაუმჯობესდა.

დაძაბული მდგომარეობა ალჟირში

ბარიზი, 28 მარტი. (საკდისი). ქალაქ ალჟირში, რომელიც ეუნიდებურად ოკუპირებულია ჟანდარმერიის მძიმეიარაღიანი ძალებითა და ჯარებით, გუშინ აკლავ გაისმოდა სროლა. მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია. გაზეთი „მონდი“ ამ მდგომარეობას „აფეთქების მოსასწავებლად“ აფასებს.

ალჟირიდან მოვიდული ცნობების თანახმად, საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის ხელმძღვანელები სრულიადაც არ არიან შეშფოთებული მათთვის მიყენებული დარტყმებით, როგორიც იყო ჯარების მიერ ალყის შემორტყმა და მათი ერთ-ერთი მთავარი ბაზის დაბომბა-ელ-უედის იზოლაცია, ყოფილი გენერალს ჟიუს დაპატიმრება და 26 მარტს მათი გამოხდომის ჩახშობა ალჟირის ცენტრში.

ისინი კვლავ განაგრძობენ დანაშაულებრივ მოქმედებას. გუშინ ორანი მოიცვა „ჯაფიცვამ“, რომელიც საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის ბრძანებით მოეწყო. ქალაქის ცხოვრება ჩაკვდა. არ არის ელექტროენთლი; კავშირი ორანსა და მეტროპოლიას შორის შეწყდა. კოლონიალისტებმა ორანში სროლა აუტეხეს; უბნებს, სადაც ალჟირელები ცხოვრობენ. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

პარიზის გაზეთების კორესპონდენტები ერთსულოვნად აღნიშნავენ არაბი მოსახლეობის განსაკუთრებულ თავშეკავებას, რომელიც არ ჰყვება კოლონიალისტთა პროვოკაციებს და ასრულებს ალჟირის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მითითებებს.

არ წყდება ოას-ელთა გამოხდომები საფრანგეთშიც.

უ ტანის პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 28 მარტი. (საკდისი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის აღმასრულებელმა უ ტანმა სიტყვა წარმოთქვა პრეს-კონფერენციაზე და ირსებითად დაადასტურა, რომ კოლონიზატორთა დამქაშნი ჩობბე, ასრულეს რა თავის ბატონ-პატრონთა ნება-სურვილს, უწინდებურად საბოტაჟს უწევს კონგოს გაერთიანების საქმეს, განაგრძობს თავის ცდეეს — შეასრულოს კატანგის „სახელმწიფოს მეთაურის“ როლი.

ჩობბე იძულებული გახდა მოლაპარაკება დაეწყო კონგოს ცენტრალურ მთავრობასთან, მაგრამ არ ჩქარობს წაიდეს დათმობაზე. მოლაპარაკება დაიწყო 18 მარტს, მაგრამ უკვე 23 მარტს, როგორც უ ტანმა დაადასტურა, მოლაპარაკება „შეწყდა კატანგის დელეგაციის მანდატის თაობაზე უთანხმოების შედეგად“.

გენერალური მდივნის მოვალეობის აღმასრულებელმა პასუხი არ გასცა კითხვებს, სრულიად არ მოწმობს ასეთ სურვილს.

ბატონი რასკი ამბობს, რომ სსრ კავშირმა უნდა შექმნას პირობები ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შეთანხმების დასადებად. მაგრამ რა პირობებზე შეიძლება ლაპარაკი, რაც საბჭოთა კავშირმა, როგორც ეს ფართოდ არის ცნობილი, არა მარტო შექმნა პირობები შეთანხმებისათვის, არამედ თათბირის განსახილველად შეიტანა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ კონკრეტული შეთანხმების ტექსტი, ამასთან განაცხადა, რომ მზად არის ასეთი შეთანხმებას მოაწეროს ხელი ყოველ მომენტში.

ასეთი შეთანხმების პროექტი რომ შემოვიტანეთ, ჩვენ, როგორც ცნობილია, გავთვალისწინეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანის 1961 წლის 3 სექტემბრის წინადადებანიც, რომლებშიც აღიარებულია, რომ საკმარისია ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისადმი კონტროლის ეროვნული საშუალებანი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონტროლის ეროვნული საშუალებები საკმარისია აგრეთვე იმისთვის, რომ ალმოვაჩინოთ ატომური აფეთქებანი როგორც კოსმოსურ სივრცეში, ისე ყველგვშაც.

ახლა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებს თავი ისე მოაქვთ, თითქოს დასავლეთის სახელმწიფოთა 1961 წლის 3 სექტემბრის ეს წინადადებანი არ არსებობდეს. მაგრამ რა შეიცვალა მას შემდეგ? სრულიად არაფერი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ატომური იარაღის აფეთქების ალმოჩენის ეროვნული საშუალებანი დროის ამ მონაკვეთზე სხვადასხვა ქვეყანაში კიდევ უფრო გაუმჯობესდა.

ამერიკის შეერთებული შტატებს აქვთ, და ამერიკის ატომური ენერგიის კომისიამ თითქმის იმავე დღეს გამოაცხადა, რომ განხორციელდა ეს აფეთქება. ამით შეერთებულმა შტატებმა თვითონ გააბათილეს თავიანთი მოსაზრება, თითქოს ეროვნული საშუალებებით არ შეიძლებოდეს ატომური იარაღის მიწისქვეშა აფეთქების ალმოჩენა.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში იბადება კითხვა, რაღა რჩება დასავლეთის სახელმწიფოთა იმ წინადადებისაგან, რომ საჭიროა რადაც უნდა დაჯდეს დაარსდეს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისადმი კონტროლის საერთაშორისო სისტემა. რჩება, თუ გულახდილად ვიტყვით, დასავლეთის სახელმწიფოთა ცდა საერთაშორისო კონტროლის სახით საგანგებო-ჯაშუშური საქმიანობა აწარმოონ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

სწორედ ამ მიზნს ისახავენ ამერიკის სამხედრო წრეები, როცა ცდილობენ, რომ ფაშთო ჯაშუშური ქსელი დაარსდეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საერთაშორისო კონტროლის სახით. ეს, კერძოდ, დასტურდება აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილის ჰილპატრიკის ამასწინანდელი განცხადებით. ამა წლის 15 მარტს ელექტრონული მრეწველობის საწარმოთა ასოციაციის წევრების კრებაზე ვაშინგტონში ჰილპატრიკმა თქვა, რომ შორეული „საპასუხო დარტყმის“ მისაყენებლად შეერთებულმა შტატებმა „უნდა დაარსებინონ მტრის მიზნების სისტემა“ და „განსაზღვრონ მიზანში მოხვედრების საიმედოობის დონე“.

აი, თურმე, რატომ ცდილობს ბატონი რასკი, რომ ეგრეთწოდებული საკონტროლო საგუშაგოები განალაგოს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამ საგუშაგოების სახურავქვეშ პენტაგონი აპირებს განალაგოს თავისი სამხედრო მზვერავები. ჩვენ ამას არასდეს არ დავთანხმდებით. ჩვენ არ გვინდა ასეთ საქმიანობას ვეწეოდეთ ჩვენი პარტნიორების ტერიტორიაზე, მაგრამ არც იმას დაეუშვებთ, რომ გავაღოთ ჩვენი ტერიტორიის ყარი უცხოელთა დაზვერვის საქმიანობისათვის.

ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შეთანხმების დადებას ამყამად კონტროლის სისტემის შემუშავება როდი უშლის ხელს — ასეთი სისტემა არსებობს — ეს აღმოჩენის ეროვნული საშუალებებია. შეთანხმების დადებას ის უშლის ხელს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს არ სურთ დათანხმდნენ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვას, არ სურთ ამით ბოლო მოუღონ სულ ახალ სახეობათა ატომური იარაღის გამალებულ წარმოებას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობათა პოზიცია, რომელიც მათ 18 სახელმწიფოს კომიტეტში მოლაპარაკებაზე დაიკავეს ატომური იარაღის გამოცდის საკითხში, ამტკიცებს, რომ ისინი აღ ცდილობენ დაიდოს ასეთი შეთანხმება, არამედ საქმე ისე მიჰყავთ, რომ ატომური იარაღის აფეთქების ძალები სეირია მოაწყონ ატმოსფეროში. მაგრამ თუ ამერიკის შეერთებული შტატები განაახლებენ ატომური იარაღის ექსპერიმენტულ აფეთქებას, საბჭოთა კავშირი თავისი უშიშროებისა და მთელი ცივსფეროს მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის იძულებული გახდება ამის პასუხად მოაწყოს თავისი იარაღის გამოცდის სერია. ბაშასადამე, ამერიკის შეერთებული შტატები ახალ ეტაპს იწყებენ გამალებულ ატომურ შეიარაღებაში.

ჩვენ არ გვინდა ამერიკის შეერთებულ შტატებს გავეჯიბრით მომაკვდინებელი იარაღის შექმნასა და დაგროვებაში. ყოველგვარი მონაბეორი იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს აპირებდეს თვითონ განახორციელოს ახალი გამოცდა და ამიტომ მოითხოვდეს შეთანხმებას გამოცდის შეწყვეტის შესახებ, ისე, რომ გამოყენებული იქნეს კონტროლის მხოლოდ ეროვნული საშუალებები, ყოველდ უნიადაგოა. ამ მონაბეორის მიზანი ამკარაა — აიცილონ ამერიკის შეერთებულ შტატებს ხალხთა სამართლიანი ბრალდება ატომური იარაღის გამოცდის განახლებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი კვლავ თანამიმდევრულად იბრძოლებს ატომური იარაღის ყველა გამოცდის დაუყოვნებლივი და სრული შეწყვეტისათვის. ჩვენი მიზანია გავაერთიანოთ ღონისძიებანი ნამდვილი განიარაღების საქმეში, და ამიტომ მზად ვართ თუნდ ახლავე მივაწეროთ ხელი ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, ისე, რომ გამოყენებულ იქნეს კონტროლის ეროვნული საშუალებანი ამ ხელშეკრულების შესრულებისადმი. საქმე დასავლეთ სახელმწიფოებზე, და უწინარეს ყოვლისა, შეერთებულ შტატებზეა.

საჩუქრად ცეილონს

კოლომბო, 27 მარტი. (საკდისი). ცეილონზე პოლიომიელიტი გავრცელდა. ამასთან დაკავშირებით ცეილონის მთავრობამ სთხოვა მთელ რიგ სახელმწიფოებს, მათ შორის საბჭოთა კავშირსაც, პოლიომიელიტის წინააღმდეგ ვაქცინა. საბჭოთა კავშირი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ თხოვნას. სსრ კავშირის ელჩმა ცეილონში ნ. ი. ტარაკანოვმა გუშინ გადასცა ცეილონის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ჯაიიასურიას 200 ათასი დოზა პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინა. ჯაიიასურიამ ცეილონის მთავრობისა და ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა ნ. ი. ტარაკანოვს ამ მეგობრული საჩუქრისათვის. დღეს დილით მთელ ცეილონში მოწყობილ სპეციალურ ცენტრებში დაიწყო მოსახლეობის ვაქცინაცია.

სამხედრო გადატრიალება სირიის არაბთა რესპუბლიკაში

ლონდონი, 28 მარტი. (საკდისი). ლონდონის რადიო იმოწმებს დამასკოს რადიოს და იუწყება, რომ დღეს დილით სირიის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობამ დაითხოვა დამფუძნებელი კრება, რადგანაც მან „ვერ შეასრულა თავისი მოვალეობანი“. მთავრობა გადადგა. შეიარაღებული ძალების ბრძანებით დაიხურა ყველა საერო პორტი.

ყველაზე მძიმე ადამიანი უნგრეთში

230 კილოგრამს იწონის უნგრეთის სოფელ ლენტის მცხოვრები, კბილის ტექნიკოსი კარიო ჰორნიჩეკი. ეს ორმოცდახუთი წლის კაცი, რომლის სიმაღლე 178 სანტიმეტრია, უნგრეთში ყველაზე მძიმე ადამიანად ითვლება.

მადით კარიო ჰორნიჩეკი სრულებით არ განსხვავდება დანარჩენი ადამიანებისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ერთი მკერავი არ იკისრებს შეუკეროს მას კოსტიუმი, თუ მის განკარგულებაში ხუთ მეტრზე ნაკლები მატერიაა.

კარიო ჰორნიჩეკს ძალიან უნდა იმოგზაუროს, სხვადასხვა ადგილები ნახოს. მაგრამ ეს სურვილი მის ოცნებას ვერ გასცლებია. მიზეზი ერთია: ავტობუსებისა და რკინიგზის ვაგონების კარები... მეტისმეტად ვიწროა მისთვის. (საკდისი).

ამგზეგი, ცნობები, ფაქტები

თოვლითა და ყინულით დაფარული უზარმაზარი სივრცე, ძლიერი ყინვა და ქარბუქი, ნიადაგის მარადი გაყინულობა, ერთმანეთს დიდი მანძილით დაშორებული დასახლებული ადგილები, გრძელი პოლარული ღამე — ასეთია არქტიკა. იგი ჩვეულებრივი, უბრალო გახდა. გაკვლეულია ყველაზე მოკლე საზღვაო გზა საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში. აქ სულ სხვადასხვა პროფესიისა და სპეციალობის ადამიანები ცხოვრობენ. მეცნიერები და მებადურები, მონადირეები და ინჟინრები, მეირმეები და პოლარული ავიატორები, მეზღვაურები და შოფრები აიძულებენ ყინულოვან უდაბნოს უკან დაიხიოს, თავისი საიდუმლოებანი ადამიანებს გადაუშალოს.

ჩვენი სპეციალური ფოტოკორესპონდენტი ე. ბრიუხანენკო იყო პოლარულ წრეს იქით. მისი ფოტოაპარატის ობიექტივმა აღბეჭდა სამუშაო დღეები საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც წარმატებით მუშაობენ პოლარული ყამირის ასათვისებლად.

ჩვენი ქვეყანა უკვე ეგებება გაზაფხულს, აქ კი ორი თვის შემდეგ თუ გაზაფხულდება.

სურათზე: თვითმფრინავი მეირმეთა საფგომების ხშირი სტუმარია.

ფოტო საკდისის სპეციალური კორესპონდენტის ე. ბრიუხანენკოსი.

კომპოზიტორთა მესამე ყრილობა

მოსკოვი, 28 მარტი. (საკდისი). დღეს კომპოზიტორთა III სრულიად საკავშირო ყრილობაზე გრძელდება განხილვა ტ. ხრენიკოვის მოხსენებისა საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

დილით სიტყვები წარმოთქვეს ვ. ახმედოვმა (თურქმენეთი), ე. ტიკოცკიმ (ბელორუსია), კ. კარაევმა (აზერბაიჯანი), ს. ბაბაევმა (უზბეკეთი), ნ. ჟიგანოვმა (თათრეთი), ა. ხაჩატურიანმა (მოსკოვი).

ორატორებმა აღძრეს ძირეული შემოქმედებითი საკითხები, აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება კომპოზიტორთა III სრულიად საკავშირო ყრილობისადმი აღაფრთოვანებს მათ, რათა შექმნან ჩვენი ეპოქის შესაფერისი ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი.

ქუთაისელი ექიმები მთაში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მედიცინის მუშაკები შეფობას უწევენ ცაგერის რაიონის მაღალმთიანი სოფლების საექიმო პუნქტებს.

ქუთაისელ ექიმთა პირველი ჯგუფი უკვე გაემგზავრა მთაში. ექიმებმა გ. მარდალეიშვილმა, ჰ. დვალიშვილმა, რ. ლაბაძემ, მ. ბაკრაძემ, ბ. კაჭახიძემ და სხვებმა გადაწყვიტეს სოფლის მშრომელებს სამედიცინო მომსახურება გაუწიონ სამი თვის განმავლობაში.

მალე ცაგერის რაიონში გაემგზავრება ქუთაისელ ექიმთა მეორე ჯგუფი.

ახალი უალკოჰოლო გამამგრილებელი სასმელი

ბაიზარდა მოთხოვნილება უალკოჰოლო სასმელებზე, გამამგრილებელ წყლებზე. ახლა თბილისს უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირმჟავა გაზის ქარხანაში გაცხოველებული მუშაობაა. აქ ყოველდღიურად უშვებენ 35.000 ბოთლ სხვადასხვა სახის ლიმონათს.

— ამჟამად ვმუშაობთ, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა გ. მსხილაძემ, — ახალი სახის გამამგრილებელი და არომატული სასმელის — ჩაისა და თაფლის ლიმონათის გამოსაშვებად. განზრახულია გვაქვს იგი ამ სეზონში მივაწოდოთ მომხმარებელს.

კომუნისტი

სპორტული ქრონიკა

□ **ავჭალის** სასროლეთზე ერთ კვირას გრძელდებოდა ჩვენი ოესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა გათამაშება ტყვიის სროლაში. უკანასკნელ დღეს გამოვლინდა კიდევ ორი ჩემპიონი. ესენი იყვნენ არმიელი მსროლელები გ. აეგთაშვილი და ა. დანილევსკი. გუნდურ ასპარეზობაში საქართველოს ჩემპიონი გახდა არმიის მსროლელთა კოლექტივი.

□ **დამთავრდა** საქართველოს სასპორტო საზოგადოება. „სპარტაკის“ პირველობის გათამაშება ჰავანაში. გაიმარჯვა ჰ. არნშტეინმა, რომელსაც არც ერთი პარტია არ წაუგია და 10 შესაძლებლიდან 8 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ე. მიქაელიანი, მესამეზე — გ. ეგიაშვილი.

„საქართველოს კომუნისტი“ № 3

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მესამე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — სოფლის ძეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლა მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა; **ვ. გურგენიძე** — ხალხის კეთილდღეობის აძაღლების კომუნისტური გზა; **ვ. მერკვილაძე** — კოლუნიზმის მშენებლობა და სოციალისტური ერების შემდგომი დაახლოება; **ს. თავდიშვილი** — შრომის დამატებითი ანაზღაურება საკოლმეურნეო წარმოებაში; **ლ. აბულაძე** — ელექტროტექნიკური მოწყვლობა და მისი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა; **დ. კალანდაძე** — დიდი რუსი ფილოსოფოსი-ბატერიალისტი. **ლექცია და კინესკოპი:** **ა. ჯაფარიძე** — თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მთავარი რეაქციული მიმდინარეობა. **საერთაშორისო თემა:** **ვ. ჩეკრაკოვი** — ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი კაცობრიობის მტერია. **პარტიული ცხოვრება:** **ო. კერძაია, გ. ხოგერია** — საზოგადოებრივ საწყისებზე. **მეთოდური რჩევა:** ახალი ადამიანის აღზრდა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანაა. **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:** **ა. გონაშვილი** — პრაქტიკა-შემეცნების საფუძველი და ჭეშმარიტების კრიტერიუმი; **ფ. მახარაძე** — მსოფლიოს ერთი დღე. **პარტიული ქრონიკა.**

ქალთა გუნდის ასპარეზობა

ქალთა გუნდის ასპარეზობაში მოსკოვის „ტრუდმა“ მოუგო ერევნის „ლოკომოტივს“ 23:2, ბაქოს „ლოკომოტივმა“ — აშხაბადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს 11:1. უკანასკნელი ტურის შედეგების მიუხედავად, მოსკოვის „ტრუდისა“ და ბაქოს „ლოკომოტივის“ ქალთა გუნდებს უზრუნველყოფილი აქვთ ფინალში მონაწილეობის უფლება.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლაგოდეხის რაიონის ცენტრი დაბა ლაგოდეხი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ლაგოდეხის სადაბო საბჭო — ლაგოდეხის საქალაქო საბჭოდ.

გაუქმდა ლაგოდეხის რაიონის სოფლები ვაშლოვანი და კალინოვკა ქალაქ ლაგოდეხთან ტერიტორიულად შეზრდის გამო. (საკდისი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლაგოდეხის რაიონის ცენტრი დაბა ლაგოდეხი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ლაგოდეხის სადაბო საბჭო — ლაგოდეხის საქალაქო საბჭო.

გაუქმდა ლაგოდეხის რაიონის სოფლები ვაშლოვანი და კალინოვკა ქალაქ ლაგოდეხთან ტერიტორიულად შეზრდის გამო. (საკდისი).

დ. მ. ნილოსანი

გარდაიცვალა დიმიტრი მაქსიმის-ძე ნილოსანი, სკკპ წევრი 1917 წლიდან. იგი დაიბადა 1884 წელს ლანჩხუთში ღარიბი გლეხის ოჯახში. 1904 წლიდან აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, 1905 წელს მონაწილეობდა დემონსტრაციებსა და გამოსვლებში. 1908 წელს დ. ნილოსანი გასახლებულ იქნა ქ. ბათუმიდან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დ. ნილოსანი არჩეულ იქნა ლანჩხუთის რევკომის წევრად. შემდეგ იგი მუშაობდა ლანჩხუთის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ, რაისაბინაო კავშირის თავმჯდომარედ, სამეწარმოქმედო განყოფილების გამგედ, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დ. ნილოსანი პერსონალური პენსიონერი იყო, მუშაობდა კოლმეურნეობაში.

თავდადებული მშრომელისა და ერთგული მეგობრის დ. ნილოსანის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი

დ. მეედლიშვილი.

29 მარტი

თეატრები: **ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის** — ამაო სიფრთხილე (დღისით), ტოსკა (საღამოს, მე-8 აბონ. მე-9 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — ფიროსმანი (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ბაბთანი გოგონა (დღისით), ფეხბურთელები (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — მეფოლე ქალი, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მეკარე (დღისით, რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — დაიბრუნეთ თქვენი ახალგაზრდობა, **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — ლევ ვლასენკოს (ფორტეპიანო) კონცერტი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — თოვლის ფეფოფალი (აბონ. № 37, 11 ს., აბონ. № 13, 2 ს.), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ამბავი ორი ბიჭისა (აბონ. № 7, 11 ს., აბონ. № 22, 2 ს.).

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „ზაილერგასე 8“, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „აბა, გამოიცანი“, 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ციორკი ეკრანზე“, 18.50 — კინოჟურნალი, 19.00 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე — „ახალგაზრდობას სურს იცოდეს“, 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — სპორტული გადაცემა, 20.50 — გადაცემა — „კალცი და მისი გამოყენება მომავლის ტექნიკაში“, 21.20 — ახალი ამბები, 21.35 — მხატვრული ფილმი — „მაგდანას ლურჯა“.

ეროვნული საფრთხე

„რეალი“ — „სტანდარდი“

ევროპის ჩემპიონთა თასის ბუთგბის მფლობელი მადრიდის „რეალი“ ამაევე თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალში თავის მოედანზე შეხვდა ბელგიის ჩემპიონს — ქ. ლიეჟის სპორტო გუნდ „სტანდარდს“. შეჯიბრება აღინიშნა ესპანელთა უპირატესობით. მათ თვითეულ ტაიმში ორორი ბერთი გაიტანეს და ბეიმარჯვეს ანგარიშით 4:0. ამ გუნდების მეორე ნახევარფინალური ასპარეზობა შედგება ბელგიაში 12 აპრილს.

იუგოსლავიის ნაკრებთა მატჩები

იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრები ემზადება მსოფლიო პირველობის დასაკვნით ასპარეზობისათვის. პირველმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ შოშკიჩი (სტოიანოვიჩი), დურკოვიჩი, ნიკოლიჩი (მარკოვიჩი), იუსუფი, რადაკოვიჩი, პოპოვიჩი, ჩენბინაცი, ანკოვიჩი, ბეჩეიაცი, შეკულარაცი და ბეგო, შეხვდა ბაგრების ნაკრებს და გაიმარჯვა 2:1 (1:1). ამ გუნდების მეორე შემადგენლობის შეჯიბრებაშიც გაიმარჯვა იუგოსლავიის ეროვნულმა ნაკრებმა 2:0.

ინფორმაციის ბიბლიოთეკა

ამგზეგი, ცნობები, ფაქტები

უკანასკნელისწინა დღის მატჩები

თბილისის ზონის ხელბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა დასასრულს უახლოვდება. გუშინ შედგა უკანასკნელისწინა დღის მატჩები.

ყურადღებას იპყრობდა ლიდერთა ჯგუფის ორი წარმომადგენლის — მოსკოვის „ტრუდისა“ და ბაქოს „დინამოს“ ეფეთა გუნდების მატჩი. მართალია, მოსკოველებმა მოიგეს პირველი ტაიმი ანგარიშით 10:7, მაგრამ შეჯიბრების მეორე ნახევარში ამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს. ბაქოელები მოკმედებდნენ მაღალი ტემპით, კოლექტიურად და შეძლეს წონასწორობის აღდგენა. მატჩი დამთავრდა ფრედ 16 : 16.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ეფეთა გუნდმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაამარცხა აშხაბადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი 48:20.

ამრიგად, უკანასკნელი ტურის წინ, რომელიც დღეს შედგება, თბილისის „ბურევესტნიკს“ უკვე მოპოვებული აქვს ფინალში მონაწილეობის უფლება. დღეს თბილისელები შეხვდებიან მოსკოვის „ტრუდის“ ხელბურთელებს.